№ 172
პარასკევი 13 აგვისტო, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 172
პარასკევი 13 აგვისტო, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

მარიამ ზაქარიას ასული გაბაშვილისა, ნადეჟდა ზაქარიას ასული პოლტარაცკისა, ეკატერინე ზაქარიას ასული, ალექსანდრე, დავით და ივანე ზაქარიას ძენი გაბაშვილნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 13 აგვისტოს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებისას მათის დედის პოდპოლკოვნიკის ქვრივის

**სოფიო სიმ. ასულის გაბაშვილისას**

სამების ეკკლესიაში, დილის 10 საათზედ, გარდახდილი იქმნება მეორმოცე დღის პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (1—127—1)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ **გომარეთის** დაცლილია სკოლის მასწავლებლის ადგილი და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიმართოს გამგეობას. მასწავლებელს აქვს ჯამაგირად 360 მან., ბინა და შეშა მზა-მზარეული ექნება. (5—უ.—3)

ქალების

**პროგიმნაზია**

ელენე ბახტაძისა

**დ. ხონში**

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ და აგრეთვე წელს გახსნილ პირველ პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 28 აგვისტოდამ და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოიგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მან. წელიწადში. (5—123—4)

**ქ. ქუთაისში**

(პუშკინის ქუჩაზე, ჭყონიას სახლში) პირველ სექტემბრიდგან დაარსდება **ქალების ოთხ-კლასიანი სასწავლებელი**

პროგიმნაზიის კურსით. მდგომარე წელს გაიხსნება ორი მოსამზადებელი განყოფილება და პირველი პროგიმნაზიული კლასი. გადასახადი თითო მოსწავლეზე წელიწადში ორმოცი მანეთია.

საჭირო ცნობების მისაღებად მსურველთ უნდა მიჰმართონ ლიდია გრიგოლის ასულს ანჯაფარიძეს ან მარიამ იოსების ასულს ყაუხჩიშვილს. (5—ნ.—4)

**საპატიო მზრუნველი გორის მაზრის საეკკლესიო სამრევლო სკოლებისა** ამითი აცხადებს, რომ მისაღები გამოცდა მოწაფეებისა მომავალ სამოსწავლო წლისათვის **ტირძნისის მეორე-კლასიან სკოლაში** დაიწყება 20 სექტემბრიდგან.

თხოვნებს მიიღებს (1—20 სეკტ.) გორის მაზრის საეკკლესიო-სამრევლო სკოლების საპატიო მზრუნველი სტატსკი სოვეტნიკი ივანე დავითის ძე სულხანიშვილი.

ტირძნისის მეორე-კლასიანი სასწავლებელი შესდგება სამ კლასისაგან და ოთხ-განყოფილებიან მოსამზადებელ კლასისაგან. ამ სკოლაში კურს დამთავრებულებს ეძლევათ მოწმობა მასწავლებლობისა სასულიერო უწყების წერა-კითხვის სკოლებში.

სკოლას აქვს პანსიონი, სადაც მოწაფენი იხდიან თვიურ შესანახად 4 მანეთს. (2—უ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშვილი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.***
**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**
(—1—წ).

## ახალი ამბავი

⁂ მისაღები ეგზამენები ტფილისის მე-2 სავაჟო გიმნაზიის მოსამზადებელ კლასის 1-ლ განყოფილებაში და 1-ლ კლასში დანიშნულია 23 და 24 აგვისტოსათვის, ხოლო დანარჩენ კლასებში-კი, თავისუფალ ადგილების უქონლობის გამო, მიღება არ იქნება. დამატებითი გამოცდა მოხდება 27 და 28 აგვისტოს. 31 აგვისტოს გარდახდილ იქმნება პარაკლისი და 1-ლ სექტემბერს-კი სწავლა დაიწყება.

⁂ როგორც გვატყობინებენ, ქუთაისის პოლიცმეისტერს კ. სვიმონოვს სამსახურისათვის თავი დაუნებებია.

⁂ როგორც ისმის, ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის საავადმყოფოს განყოფილების უფროსი პოლკოვნ. ნ. რ. გოგნიაშვილი სრულიად თავს ანებებს სამსახურს.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ე. პ. ნიმანდერი დაბრუნდა ტფილისში და შეუდგა თანამდებობის აღსრულებას.

⁂ ქართლ-კახეთის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას მომავალ 1901 წლისათვის 5100 მან. სოფ. საჩხერის ორ-კლასიან სამრევლო სკოლის შესანახად.

⁂ ტფილისის გუბერნიის მმართველმა კ. კ. სტეფანოვიჩმა 11 აგვისტოს დაამტკიცა ქალაქის გამგე-

## ფელეტონი

**ს ა ჩ უ ქ ა რ ი**

(ი. პოტაპენკოსი)

(შემდეგი *)

ახლა კიდევ ერთი უსიამოვნება დაემართა ოლზუხინს, საღამოთი გლეხებმა გაიბრაზეს. ეს ოხერი ძველი ვალი სწორედ სიცოცხლეს უწამლავდა. მამა მისი უხეირო მეურნე იყო. ის არათუ არაფერს ჰმატებდა თავისს ქონებას, არამედ ჰფლანგავდა და გაჰფლანგა კიდეც გვარიანად. წინად მამული ერთი-ორად მეტი ჰქონდა ახლანდელზედ, მუდამ პარიჟში სცხოვრობდა და, რადგან ფული სჭირდებოდა, ნახევარი ადგილ-მამული აქეთ იქით მიჰყიდ მოჰყიდა.

და აი სწორედ ამ ზუბასტოვმა იყიდა მისგან მაშინ ორასი დღიური ადგილი, და მერე რა ადგილი—საუცხოვო, ძვირფას ტყიანი.

გლეხებთან იმისმა მამამ სრულიად არ იცოდა საქმის დაჭერა. მიწას იჯარით აძლევდა და, როცა მოუსავლიანი წელიწადი დადგა, გლეხებმა რამდენიმე წლის ვალი ვეღარ გარდაიხადეს. ამის შესახებ ოლზუხინმა დაწვრილებითი ცნობები ჰნახა წიგნებში, როცა ადგილები ჩაიბარა მამის სიკვდილის შემდეგ. გლეხებზედ დარჩენილი ფული კარგა დიდი აღმოჩნდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ამ ფულის ამოგება ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა. აგერ თითქმის ათი წელიწადია ზედი-ზედ მოუსავლობაა და ახლა მთელი სოფელი მშიერ-მწყურვალია, მაგრამ ამაზე, რასაკვირველია, ყურადღების მიქცევა არც-კი ჰღირს. თუ ესეც მხედველობაში მიიღო კაცმა, მაშინ ხომ თითონაც მშიერ-მწყურვალი დარჩება.

ის დიდხანს უჯერებდა გლეხებს, რომლებიც ყოველთვის ასე ეუბნებოდნენ: „გვაცალე, ბატონო, წელი გავიმაგროთ და ყველაფერს მოგართმევთო“. იმანაც აცალა, მაგრამ ბოლოს-კი მოთმინება გამოელია და საჩივარი შეიტანა სასამართლოში; სასამართლომაც მისცა აღმასრულებელი ფურცელი მთელის სოფლისათვის. თავისს დროზედ ამ ამბავმა დიდი ხმაურობა ასტეხა და ამის გამო მთელი მაზრა ჰლაპარაკობდა.

აღმასრულებელი ფურცელი ხელში ეჭირა, მაგრამ აღებით-კი ვერა აიღო. გლეხებმა სახურავიც-კი მოჰხადეს თავიანთ ქოხებს და საქონელს შეაჭამეს; აი სწორედ ეს რკინის გზაც, რომლის გამოც ახლა ამდენს ჰლაპარაკობენ, იმისათვის მოიგონეს, რომ გლეხებს შემოსავალი რამ გასჩენოდათ.

გამოდის, მართლაც, რომ ზოგი ჭირი მარგებელია. მოუსავლობა რომ არ გახშირებულიყო, მაზრა, ვინ იცის, რამდენ ხანს ვერ ეღირსებოდა რკინის გზას. გუშინ უბრძანათავის მოურავს,—გამოუცხადე, სოფელს, რომ საჩქაროდ მომცენ ფული, და აი საღამოს მასთან მივიდა სამი დაფლეთილ-დაგლეჯილი დეპუტატი სოფლისაგან და ჩვეულებრივ დაუწყეს ხვეწნა-მუდარა:

— შენი ჭირიმე, ბატონო, გვაცალე წელში გავიმართოთ და მოგართმევთო.

მთელი 7 წელიწადი იყო ამას ეუბნებოდნენ, ამიტომ გარდასწყვიტა ძალიან სასტიკად მოჰქცეოდა და უთხრა:

— მე თქვენ უკანასკნელად გეუბნებით: თუ ერთის კვირის შემდეგ ვალი არ გადამიხადეთ, ავიღებ თქვენს ქოხებს, გავყიდი და დარჩებით უსახლკაროდ.

რა თქმა უნდა, სახეში არა ჰქონია ქოხების აღება, სხვა არა იყოსრა მარტო იმიტომ, რომ კაპიკსაც არავინ მისცემდა იმათში, მაგრამ გლეხების შეშინება უნდოდა. გლეხებმა ხელი ჩაიქნიეს და გზას გაუდგნენ. ეჰ, გინდა გაჰყიდე, გინდა ნუ, სულ ერთია, ქოხში ამოვხდება სული, თუ გარეთაო. და ის მთლად მოშლილი დაწვა დასაძინებლად.

კვირას ზუბასტოვს ეწვია, იქიდგან-კი ისინი თავმჯდომარესას გაემგზავრნენ. თავმჯდომარეს დიდი ხანია იცნობდა, მაგრამ ეს ნაცნობობა მხოლოდ საქმისაგან იყო გამოწვეული და მათ გულ-ცივი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან. ინჟინრები იქ იყვნენ და მარშლაც ქეიფობდნენ. ისინი მიწვეულნი იყვნენ გზის მიმართულების გამოსაკვლევად. ზუბასტოვმა გააცნო ის უფროს ინჟინერთან. ოლზუხინი გამოელაპარაკა და, სხვათა შორის, დაეკითხა, მართლა გნებავთ გვერდი აუქციოთ ჩემს მამულსაო.

— დიახ, ჩვიდმეტი ვერსით იქნებით მოშორებული,—მიუგო უფროსმა ინჟინერმა.

— ჩემი მამული პირდაპირ სამაზრო და საგუბერნიო ქალაქებ შუა იმყოფება და რა საჭიროა გვერდის ახვევა.

— ეგ, იცით, შეხედულებისაგანაა დამოკიდებული, იმისაგან, თუ ვის რა თვალთა ხედვის ისარი აქვს... დიპლომატიურად უპასუხა უფროსმა ინჟინერმა.

შემდეგ მუსაიფის დროს გამოირკვა, რომ ამ პატივცემულ ინჟინერს რალაც ახირებულ მიზეზის გამო დიდად თურმე აინტერესებდა შინაური ფრინველები, ოლზუხინს-კი საუცხოვო ფრინველები ჰყავდა.

— ინებეთ ჩემთან მობრძანება,—უთხრა მან: ნუ დაიზარებთ, გეთაყვა. მე თქვენ გასაოცარ ფრინველებს გიჩვენებთ. ბატონებო,—ხმა-მაღლა მიჰმართა მან მთელ კრებულს: ყველას გთხოვთ მობრძანდეთ ჩემსას მომავალ კვირას.

ინჟენრებისათვის სულ ერთი იყო, სადაც იქეიფებდნენ, და ამიტომ სიამოვნებით მიიღეს დაპატიჟება. ხოლო თავმჯდომარისათვის-კი დიდად სასიამოვნოც იყო, რომ ერთ კვირა-დღეს მაინც განთავისუფლებოდა ამ უსაქმო ხალხისაგან, რომელიც მას მთელ ქონებას უხრავდა. ისიც და ყველა ვინც იქ იყო დასთანხმდნენ. ხოლო აქ-კი სულ საერო მოღვაწენი, სულ მაზრის ბობოლები იყვნენ.

ოლზუხინმა გადასწყვიტა საუცხოვო ლხინის გარდახდა. უნდოდა ესარგებლა ამ შემთხვევით, რომ ერთბაშად გაეჩარხა საქმე. წავიდა საგუბერნიო ქალაქში, იყიდა ღვინო და საჭმელები, მოსძებნა მაზრაში ძველი, ბატონ-ყმობის დროინდელი მზარეული და უბრძანა, ისეთი სადილი გაგვიკეთე, რომ მთელი ქვეყანა გაოცდესო.

როცა შინ დაბრუნდა, ღრმად ჩაფიქრა „საზოგადო საქმემ“. რა კარგი იქნება, რომ რაიმე საქმის გაკეთებას სტუმრების მოსვლამდე მოვასწრობდეო, ჰფიქრობდა. გადიოდა დრო და მან-კი ვერა მოიგონა რა.

მოვიდა შაბათი, ზუბასტოვმა, რომელიც ვითომ დიდად სცდილობდა მის სასარგებლოდ, ბარათი გამოუგზავნა, რომელშიაც სწერდა: „არ დაგავიწყდეთ ძვირფასო მეგობარო, რომ ხვალ თავს დაგესხმითო.

და ოლზუხინი კვლავ ღრმად ჩაფიქრდა. კიდევ კარგი, რომ აზრი მაინც დაჰბადებოდა რამ, განხორციელება შემდეგაც შეეძლებოდა, მაგრამ ხვალ-კი სადილზედ გამოაცხადებდა და ეს დიდად იმოქმედებდა.

*) იხ. „ივერია“ № 171.

ზის დადგენილება იმის შესახებ, რომ ცხვრის ხორცის ნიხრი მომატებულ იქმნას 7-დგან $8^1/_2$ კაპეიკამდე.

** 11 აგვისტოს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა სასანიტარო კომისიის სხდომა, რომელზედაც დადგენილ იქმნა ყურადღება მიექცეს ქუჩებისა, ხევებისა და მოედნების გაწმენდა-დასუფთავებას, ნაგვის გაზიდვას, ქალაქის განაპირა ნაწილების დასუფთავებას და სხ...

** ქალაქის გამგეობამ 7 სექტემბრისათვის დანიშნა საჯარო ვაჭრობა ვერის ხიდზედ საეტლო გარდასახადის აკრეფის უფლების იჯარით გასაცემად. ამავე დღისათვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა აფიშების გასაკვრელ სვეტების იჯარით გასაცემად.

** ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტის საბჭო აცხადებს მშობელთა საყურადღებოდ, რომ სამის უფროს კლასის მოსწავლე ქალნი უნდა გამოცხადნენ სასწავლებელში 1-ლ სექტემბერს, ხოლო დანარჩენ კლასების მოსწავლენი-კი — 2 სექტემბერს. მისაღები ეგზამენები ახალ მოსწავლეთათვის დანიშნულია 1-ლ სექტემბრისათვის.

** ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლის სამეურნეო სასწავლებლად გადაკეთების საქმე ამ ჟამად გადაეცა გარდასაწყვეტად მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს.

** ტფილისის სამკურნალო გამგეობამ საყოველთაო მოწერილობით განუმარტა ტფილისის გუბერნიის, მაზრისა და სოფლის მკურნალთ, რომ ყველა სოფლის ყვავილის ამცრელნი უნდა ემორჩილებოდნენ სოფლის მკურნალთ, ხოლო სოფლის მკურნალნი-კი ვალდებულნი არიან ზედამხედველობა იქონიონ ყვავილის ამცრელებზედ და მოსთხოვონ ხოლმე მოქმედების ანგარიში. ყვავილის ამცრელთ უფლება აქვთ უსასყიდლოდ მოითხოვონ ცხენ-ურემი და ბინა სოფლებში გაჩერების დროს; ამასთან ვალდებულნი არიან ყვავილის აცრისათვის არავითარი სასყიდელი არ აიღონ. ხოლო ის ამცრელი, რომელსაც სასყიდლის აღება დაუმტკიცდება, დაუყოვნებლივ იქმნება დათხოვნილი სამსახურიდგან.

** სოფ. ქვემო მაჩხაანში ოფიციალურად გაიხსნა სასოფლო ქსენონი, რომლის შენახვა სოფელმა იკისრა.

** ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაცია თხოულობს სათანადო მთავრობისაგან 129,090 მან. სასოფლო სამკურნალო ნაწილის შესანახდ, 5,400 მან. — მაზრებში 30 ყვავილის ამცრელის შესანახ დ და 1,200 მან. საგუბერნიო მკურნალის თანაშემწეთა სამგზავრო ფულად სასოფლო სამკურნალო ნაწილის დათვალიერების დროს.

** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის 1898 წლის მოქმედების ანგარიშიდგან სჩანს, რომ ამ წელს კომიტეტის მოქმედების უმთავრესს საგანს შეადგენდა ვაზის სხვა-და-სხვა გვარ ავადმყოფობასთან ბრძოლა, ამერიკულ ვაზის მოვლა-მოშენება და სხვა-და-სხვა ძვირფას მცენარეთა მოვლა-მოშენების ცოდნის გავრცელება ხალხში. რადიკალური ბრძოლა ფილოქსერასთან საანგარიშო წელს თითქმის მიტოვებულ იქმნა და სწარმოებდა მხოლოდ ზოგიერთ ადგილას. მთელს კახეთში 16 სოფელში გასინჯულ იქმნა 7,343 ვენახი, 4,704 დესეტინის სივრცეზედ. ხოლო 27 სოფელში ოდნავ გაუსინჯავთ 6,098 ვენახი 2,895 დესეტინის სივრცეზედ. საანგარიშო წელს, სხვათა შორის, პირველად დაუწყიათ კახეთში ბლეკროტისა და ვაზის სხვა გვარ ავადმყოფობის წამლობა და მიკოლოგიურად გამოუკვლევიათ ვაზის ავადმყოფობანი. გარდა ამისა, საქარის სანერგეში დაუმყნიათ 143 ათასი ამერიკული ვაზი. ამასთან სანერგეს მიუყიდნია 592 კაცისათვის ადგილობრივის ვაზით დამყნილია მერიკული ვაზი — 38,163 ძირი; დაუმყნელი ვაზი მოსაშენებლად — 1,914; 13 სკოლისათვის უფასოდ მიუცია 6,100 ნერგი. სულ კომიტეტს დაუხარჯავს ფილოქსერასთან საბრძოლველად და ამერიკულ ვაზის მოსაშენებლად — 149,462 მან. და 6 კაპ. აქედგან ამერიკულ ვაზის მოსაშენებლად — 54,889 მ. და 9 კაპ., ვაზის ავადმყოფობის საწამლოდ (ფილოქსერას გარდა) — 6,384 მ. და 14 კ. და ელექტრონით ვაზის წამლობის საცდელად — 1,553 მ. და 35 კ.

** კავკასიის ბამბის საცდელ და საჩვენებელ ყანების მმართველი ნ. პ. ტარატინოვი გაემგზავრა ქუთაისის გუბერნიაში იმ ადგილების დასათვალიერებლად, სადაც ბამბა მოჰყავთ.

** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიაში დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული სადგური საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებათა გამოსაკვლევად და გამოსაცდელად.

** ს. ჭიათურიდგან „ახ. მ.“-ს სწერენ, რომ 5 ამა თვეს იქ მივიდა ქუთაისის გუბერნატორი თ. მ. გერშელმანი შორაპნის შავი ქვის მადნების დასათვალიერებლად. გუბერნატორს სადგურზედ დახვედრია შავი ქვის მწარმოებელნი. ერთს შავი ქვის მწარმოებელთაგანს, პ. მ. მოსეშვილს გუბერნატორისათვის პურ-მარილი მიურთმევია და სიტყვით მიუმართნია, რომელშიაც ის აზრი გამოუთქვამს, რომ გუბერნატორის მისვლას ჭიათურაში საკეთილო შედეგი მოჰყვება შავი ქვის მრეწველობისათვის. „კავკასიის შავი ქვის მწარმოებელთა ამხანაგობის“ სახლის წინ გუბერნატორს საუბარი გაუმართავს მწარმოებლებთან, გამოუკითხავს მათი საჭიროებანი, სამთო მრეწველობის მუშაობის პირობები, ის, თუ რამდენად ხელსაყრელია მათთვის მუშაობა მადნებში და სხ... შემდეგ გუბერნატორს დაუთვალიერებია მადნები და სამადნო გზები. საღამო ხანს გუბერნიის უფროსისათვის კრების საბჭოს სადილი გაუმართნია, რომელსაც 40 სტუმარი და 100 შავი ქვის მწარმოებელი დასწრებია. სადილზედ გუბერნატორს მწარმოებელთათვის სიტყვით მიუმართნია, რომელშიაც განსაკუთრებით აღუნიშნავს სამთო მრეწველობის დიდი მნიშვნელობა ქუთაისის გუბერნიისათვის და დაულევია ამ მრეწველობისა და შავი ქვის მწარმოებელთა სადღეგრძელო. იმ სიტყვებში, რომლებითაც კ. დ. ბაქრაძეს, თავ. პ. გ. წულუკიძეს და სხ. მიუმართნიათ გენ. გერშელმანისათვის, ორატორებს ის იმედი გამოუთქვამთ, რომ გუბერნატორი იზრუნებს შავი ქვის წარმოებისათვის და რომ ის შეიქმნება შუამდგომელად მთავრობის წინაშე საჭიროების დროს; მთავრობაც სხვა-და-სხვა გვარ ზომებს მიიღებს შავი ქვის წარმოების გასაძლიერებლად და სხ...

** დუშეთი. 10 ამა მარიამობისთვეს, სასწავლებლის დარბაზში, ქართულ გალობის მოყვარულმა ქალვაჟთა გუნდმა, დ. პავლიაშვილის ლოტბარობით, გამართა მცხეთის ტაძრის განსაახლების თანხის სასარგებლოდ ქართული კონცერტი.

დამსწრე საზოგადოება ისე ნასიამოვნები დარჩა, რომ თითქმის ყოველნაირი სიმღერა გაამეორებინა.

გალობის შემდეგ გიორგი მოზდოკელმა გამართა ცოცხალი სურათები „დემონიდამ“. სურათები მშვენიერად იყო გამართული. დასასრულ გაიმართა ლეკური და თითქმის განთიადამდე გასტანა. წმინდა შემოსავალი ექვს თუმნამდე დარჩა.

** ს. ქ.-მაჩხაანი. 8 აგვისტოს მოხდა აქ წლიური კრება მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოებისა, წაკითხულ წლიური ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ უკანასკნელ ერთის წლის განმავლობაში საზოგადოებას უზარალნია ათას მანეთზე მეტი. საზოგადოთ კრებაზე გამოირკვა, რომ საზოგადოების საქმე ვერ მიდის კარგათ. ძველმა გამგეობამ უარი განაცხადა თანამდებობაზედ. ამორჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა გამოსძებნოს ღონისძიებანი საზოგადოების საქმეების გასაუმჯობესებლად.

** უსინათლოთათვის მზრუნველ საზოგადოების კავკასიის განყოფილების საბჭო გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 1899 წლის 1-ლ ივნისამდე საზოგადოების კასსაში იყო 43004 მ. და $18^1/_2$ კ., ივნისის განმავლობაში შემოვიდა 7648 მ. და 59 კ.; იმავე თვეში გაუციათ 7950 მ. და 18 კ. და გაუყიდნიათ პრაცენტის ქაღალდები 6,500 მან., სულ 14450 მ. და 18 კ. 1-ლ ივლისამდე კასაში ყოფილა 36,202 მ. და $59^1/_2$ კ. ამ ფულიდგან იმყოფება: 1) სახელმწიფო ბანკში — 4155 მ. და 48 კ. 2) შემნახველ კასაში 384 მ. და 81 კ. 3) პრაცენტის ქაღალდები იქვე 31600 მან. და 4) ნაღდი ფული

---

ზუბასტოვი ამას მშვენივრად მოახერხებდა. ის ხომ ძალიან მარჯვე კაცია. რასაკვირველია, ის ტყუილად-კი არ იდებს თავს მისს სასარგებლოდ, ალბათ ბოლოს და ბოლოს აწაპნის რასმეს, მაგრამ ამისათვის ხომ არც ის აწყენინებს.

უცებ ოლზუხინს ერთმა აზრმა გაუელვა თავში. ეს სწორედ იმ დროს იყო, როცა ის უკვე ლოგინში დაწვა. საკვირველი აზრი იყო ეს აზრი, სულ უბრალო და ადვილ ასასრულებელი. ის თითქმის ლოგინიდგანაც-კი წამოხტა და დაუყოვნებლივ დაუძახა მოურავს, რომელსაც უკვე ეძინა.

— გამიგონე, ბიჭო, ხომ არ იცი, ხვალ იქნება თუ არა სოფელში ყრილობა?

— იქნება, ბატონო. ვალების შესახებ უნდა მოილაპარაკონ — მიუგო მოურავმა.

— ჰო-და, იცი, რა გითხრა. წადი თითონ და გამოუცხადე სოფელს, რომ მე მათ ვაპატიებ ძველი ვალი. გესმის თუ არა.

— მესმის, ბატონო, როგორ არ მესმის... ან-კი რა მეტი გზაა, თუ არ აპატიებთ, მაინც ხომ ვერ მიიღებთ და ვერა.

— ჰო, კარგი, ბევრს ნუ ლაპარაკობ, რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე. იმედი მაქვს, რომ ისინი იგრძნობენ.

— რაღა თქმა უნდა, იგრძნობენ.

— გესმის თუ არა, ხვალ სტუმრები მეყოლება ინჟენერები და გამგეობის თავმჯდომარე. მათი საქმეა გზა გამოიყვანონ ჩვენკენ. მაშ აგრე, უნდა იგრძნონ, საჭიროა იგრძნონ, გესმის თუ არა?

— მესმის, ბატონო.

მოურავი ძალიან ეშმაკი კაცი იყო. მართლაც ესმოდა და იცოდა, რაც უნდა ექნა. დილით ის წავიდა ყრილობაზედ და ყველაფერი, როგორც რიგი იყო, გამოაცხადა.

ორ საათზედ ოლზუხინს თავს დაესხნენ სტუმრები. დიდი ხანია ამ კუთხეში ასეთი მხიარულება არა ყოფილა. ზუბასტოვი იქ იყო და როგორც-კი მარჯვე შემთხვევა იშოვა, მასპინძელი განზედ გაიხმო.

— აბა, რა ჰქენით საზოგადო საქმისა? — დაეკითხა ის.

— არის! მიუგო ოლზუხინმა. გახსოვთ, მე რომ გლეხებთან საქმე მქონდა? ძველ მამისეულ ვალის დავა. მე გაზეთშიაც ჩამაგდეს, როცა ეს საქმე ირჩეოდა სასამართლოში.

— მერე, მერე!..

— მერე ის, რომ ავდექი და ვაპატიე ეს ვალი.

— რასა ბრძანებთ? საუცხოვოა! ეგ ვალი, რასაკვირველია, არ იყო საიმედო, მაგრამ თავ-მოსაწონებლად თვალის ასახვევად კი გამოდგება. შამპანური, იმედია, იქნება.

— უთუოდ.

— ჰო-და, ჩვენც ეს ამბავი შამპანურის სმის დროს გამოვაცხადოთ.

სადილი საუცხოვო აღმოჩნდა. ბატონყმობის დროინდელმა მზარეულმა ისეთი გემრიელი საჭმელები მოამზადა, რომ ინჟენერები სულ თითებს იკვნეტდნენ. მოიტანეს შამპანური, აავსეს ჭიქები, მასპინძელი წამოდგა და სტუმრების სადღეგრძელო დალია, გამგეობის თავმჯდომარემ მასპინძელი ადღეგრძელა.

ამ დროს ეზოში შემოვიდა ოციოდე დაფლეთილი გლეხი. ოლზუხინის მოურავი იქვე ტრიალებდა და საიდუმლო სახით რაღაცას ფართიფურთობდა. ზუბასტოვმა აიღო ჭიქა, რომ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოეთქვა, მაგრამ ამ დროს გაიხედა ფანჯარაში.

— ეს რა ჯურის ხალხია, იკითხა მან და მიმართა ოლზუხინს.

გლეხები გახლავან, — სთქვა მან: ნეტა რა საქმე უნდა ჰქონდეთ.

— უნდა გაიგოთ...

— ოლზუხინი ადგა და გაემართა კარებისაკენ, მაგრამ რადგან ყველამ ყურადღება მიაქცია გლეხებს, ამიტომ ნელ-ნელა ყველანი აივანზედ გავიდნენ. ოლზუხინი წინ მიდიოდა და ეზოშიაც-კი ჩავიდა.

— გამარჯობა, მეზობლებო, რა საქმე გაქვთ? — მიჰმართა მან გლეხებს.

უცებ ეს ოციოდე გლეხი ფეხებში ჩაუვარდა და ყველამ ერთხმად ლუღლუღით რაღაც მადლობის გარდახდა დაუწყეს, მხოლოდ ეს ისმოდა: „შენს ღმერთს ვენაცვალეთ, ჩვენო მოწყალე ბატონო, მაგას სიკვდილამდე არ დავივიწყებთ.“

— ჰო, კარგი, კარგი, არა ჰღირს. ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, წადით, უთხრა ოლზუხინმა და დაბრუნდა აივანზედ.

— რა ამბავია? — დაეკითხა მას ზუბასტოვი.

— ეჰ, არაფერი!.. სათქმელადაც არა ჰღირს... ძველი საქმეა... ჯერ კიდევ მამიჩემის დროს მაგათ ჩვენი ვალი დაედოთ... ჰო-და, მეც გავითვალისწინე მაგათი გაჭირვება და ვაპატიე ვალი.

— ჰოო, ბიჭოს!..

— ბევრი ემართად? — იკითხა გამგეობის თავმჯდომარემ.

— არა, მაგდენი არაფერი, სახსენებელიც არ არის... რაღაც ორიოდე ათასი მანეთი იქნებოდა... კარგად არც-კი ვიცი.

— მაგრამ... მაინც და მაინც, მაგდენი ფული სახუმბრო საქმე როდია.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, მეგობრებო, წადით, წადით! განმეორებით მიჰმართა ოლზუხინმა გლეხებს, ძალიან მოხარული ვარ, რომ გასიამოვნეთ.

გლეხები გავიდნენ ეზოდგან და წავიდნენ სოფელში, გზაში სულ ქუდ-მოხდილები მიდიოდნენ. სტუმრები ისევ სუფრას შემოუსხდნენ, ზუბასტოვმა აიღო ჭიქა და წარმოსთქვა:

— ბატონებო, ჩვენს ანგარების მოყვარე დროში, როცა ყოველი კაცი მხოლოდ იმას სცდილობს, რომ მეტი შეიძინოს და არხეინად იცხოვროს, ერთი ათად სასიამოვნოა იმ ჭეშმარიტ დიდ სულოვნობის დანახვა, რომელიც აქ ჩვენის საკუთარის თვალით ვიხილეთ ამ წუთს. მაშ — ასე, შევსვათ ჩვენის გულ-უხვ მასპინძლის სადღეგრძელო და ვუსურვოთ წარმატება.

სადღეგრძელოს ალტაცებით მიეგებნენ. ქეიფმა დილამდე გასტანა. ინჟენერები მეტად კმაყოფილი დარჩნენ. გამგეობის თავმჯდომარეს ისიც-კი მოეჩვენა, რომ მას ალმაცერად დაუწყეს ცქერა იმის ნიშნად, რომ ის არასოდეს ასე კარგად არ გამასპინძლებია იმათ.

მეორე დღეს საგუბერნიო ქალაქში ბევრსა ჰლაპარაკობდნენ ოლზუხინის დიდსულოვნურ საქციელისგამო, ხოლო მცირე ხნის შემდეგ სატახტო ქალაქის გაზეთებშიც დაიბეჭდა ეს ამბავი საკუთარის კორესპონდენტისაგან.

ორიოდე თვის შემდეგ უკვე რკინის გზა გაჰყავდათ სამაზრო ქალაქში, საიდგანაც ეს გზა პირდაპირ ოლზუხინის მამულისაკენ მიდიოდა.

—ელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილების კასაში — 62 მ. და $30\frac{1}{2}$ კ. განყოფილების სამკურნალოში 1899 წ. ივნისში ყოფილა 474 ავადმყოფი, მკურნალს გაუსინჯავს 4876 ავადმყ., იმავე ხნის განმავლობაში გაუკეთებიათ 115 ოპერაცია.

⁂ უმაღლესად ნებადართულ იქმნა დაარსდეს „კავკასიის შუშის მწარმოებელი სააქციო საზოგადოება" დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბორჯომის მამულში არსებულ შუშის ქარხნის შესანახად და მოქმედების გასაფართოებლად და აგრეთვე ასეთისავე ქარხნების გასამართავად და შესანახად იმპერიის სხვა ადგილებში. საზოგადოების ძირის თანხა უდრის 1.000,000 მანეთს.

⁂ გუშინდელს კრებაზედ ქალაქ ტფილისის გამგეობამ დაადგინა დაავალოს მეეტლეთა მამასახლისს, რომ ყოველთვის, როდესაც სახანძრო მატარებელი მოვა სადგურთან, საკმაო რაცხვი ეტლებისა იყოს ხოლმე.

⁂ გუშინ, 12 აგვისტოს, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, როდესაც ორმა ცხენის რკინის გზის ვაგონმა, სხვა-და-სხვა მხრიდგან მომავალმა, ერთმანეთს ჩაუარეს, ამ ვაგონების შესავალ ფიცარზედ თითო კაცი იდგა, რომელნიც ერთმანეთს დაეჯახნენ. ორივენი ძალიან დაშავდნენ.

## რუისის საზოგადოება

(სოფლის ექიმბაშები და მკითხავები)

რუისის საზოგადოება რკინის გზის მახლობლად მდებარეობს. ამისდა მიუხედავად, ასე ყოველსავე სამკურნალო საშუალებას მოკლებული საზოგადოება სულ არსად მეგულება. ამის შემდეგ საკვირველი არაფერია, თუ აქ ცრუ-მორწმუნეობას ისევ ღრმად აქვს ფესვი გადგმული, თუ მკითხავ-მარჩიელებს ჯერაც არ მოსპობიათ თავიანთი შემოსავლის წყარო და ექიმბაშთა პარპაშს, მათგან უკანასკნელის კაპეიკის ცინცვლას ისევ ფართო ადგილი უჭირავს.

სოფ. ზებნისში მცხოვრებელი გლეხი ალ. ბ—შვილი შარშან გაზაფხულზედ სარის გადმოჩეხვის დროს ნერგიდგან ჩამოვარდა და ფეხი შიგ წვივში მოიტეხა. იმ დღეს დილიდგან მოკიდებული საღამომდის ფეხ-შეუხვეველი ეგდო. საღამოზედ ს. ქ—დგან გამოიყვანეს ვითომ-და განთქმული მოტეხილის ექიმი (მაშ ვისთვის მიემართნათ?), რომელმაც შაქრის თოკებით და ფიცრებით (არტაშნებით) კარგა მაგრად გაუქანა მოტეხილი ფეხი და თანაც ჰბრძანა, ერთის კვირის განმავლობაში არ შეეხსნათ. ამ გვარად გაქანულს ფეხს შედეგად მოჰყვა მთელს სხეულში სისხლის მოძრაობის შეჩერება, მთელის სხეულის გასივება, რამაც წამებული გლეხი სულ სამიოდ დღეზედ აუტანელის ტანჯვით გამოასალმა წუთი-სოფელს.

წარსულის წლის შემოდგომაზედ იმავე სოფლის მცხოვრებელი ზ. ა—შვილი ფშატზედ მოსაკრეფად ავიდა, მაგრამ ჩამოვარდა და ფეხი კოჭში მოიტეხა. ამას ს. არადეთიდგან გადმოჰგვარეს ექიმი, რომელმაც ფეხის ქირად 1 მანეთი აატყავა. ექიმმა ფეხ-მოტეხილს აღუთქვა: „სამს დღეზედ მოგარჩენო", და თან ფეხი მაგრა შეუბოჭა თოკებითა და ფიცრებით. სამის დღის განმავლობაში სიმსივნემ მთელს სხეულში დაუარა და მართლაც საუკუნოდ „მოარჩინა" ამ სოფლის ტანჯვა-წვალებას. დარჩნენ პირველისა 5 და მეორესი 4 მცირე-წლოვანი ბავშვები, რომელთაც მშობელთაგან, ვალების გარდა, არავითარი ცხოვრების საღსარი არ დარჩენიათ, რის გამოც იძულებულნი შეიქმნენ სამადლოდ დამშეულსავე მეზობლებს შეჰხიზვნოდნენ.

შემდეგი სურათი ნათლად გვიჩვენებს, თუ შინაურს უვიცად წამლობას რა შესაზარი შედეგი მოსდევს. ზებნისში ერთს 13—14 წლის ბავშვს დიდი ხნის ციებისაგან ტყირში საშინლად გაუსივდა. იმისს საბრალო დედას განზრახვა ჰქონდა სადმე ექიმებთან სამკურნალოდ წაეყვანა, რაც შეუძლებლობის გამო ვერ მოახერხა. ძალა-უნებურად შინაურულ სამკურნალო საშუალებათათვის უნდა მიემართნა და ასეც მოიქცა. სოფლის ექიმბაშმა დედაკაცებმა ურჩიეს: „შენს შვილს ტყირპზედ წურბელები ჰკიდე, ტყირპს სისხლიდგან დასცლიან და განიკურნებაო". დედამაც, ყიდვით თუ ჩუქებით, 70 წურბელას მოუყარა თავი. ერთს მშვენიერს დღეს შეიყვანა სახლში ოთხიოდ მეზობელი მანდილოსანი, რომელთაც ავადმყოფს ბავშვს ხელ-ფეხი დაუჭირეს და 70 დამშეული წურბელა დედამ გასივებულს მუცელზედ დაასხა. გაისმა ბავშვის საზარელი წივილ-კივილი და მუდარი: „დედა, თუ ჩემი სიკვდილი გინდა, ანგრე ტანჯვას უმჯობესია დამარტყა რამე და გამათაო". წურბელებიც მოშორდნენ და ბავშვს კეთილის მყოფელთა ხელშივე სულიც ამოხდა. ამ გვარად უბედურის დედის ერთად-ერთი მაცხოვრებელი (ბავშვი სოფლის მწყემსად იყო) სოფლის უვიცის მკურნალობის მსხვერპლი შეიქმნა.

ეს თუ ის ექიმბაში, სარგებლობს რა მცხოვრებთა უვიცობით, არავითარ საშუალებას არ ზოგავს, რომ ავადმყოფის პატრონს რაიმე ნაირად უკანასკნელი გროში ხელიდგან გამოაცალოს. ერთს მანდილოსანს დაბეჟილის მკლავიდგან განუწყვეტელი იარა სდიოდა. მეტი ჩარა არ იყო, მიჰმართეს ერთს გაქნილს ექიმბაშს, რომელიც სოფლელთა შორის თავისს-თავს ტფილისელ ექიმად ასაღებდა. ავადმყოფის პატრონს ფეხის ქირად სამი მანეთი წაართვა და უცხენოდაც არ გაჰყვა. ავადმყოფის ნახვის შემდეგ ექიმმა „აღძრა თვისი ცბიერი ენა" და ავადმყოფის პატრონს უთხრა: „ამას მკლავში მუასავით ოთხი გრძელი ჭია ჰყავს. ერთი თუმანი მომეცი, ჭრილობიდგან ჭიებს გამოვიყვან და მკლავს გავუსაღებო". პატრონმა წინდაწინ ხუთი მანეთი მისცა და ხუთიც მორჩენის შემდეგ უნდა მიეცა. ექიმბაშმა თავის წამლების პარკიდგან ბანკა ამოიღო, წყლულზედ პირქვე მოამხო და მორთო რაღაც ტუტუნი. პატარა ხნის შემდეგ ბანკიდგან მართლა ამოიყვანა ორი გრძელი ჭია, რომელიც ვითომ ჭრილობიდგან ლოცვით გამოიყვანა და ავადმყოფის პატრონს უთხრა: „წყლულში ორი ჭიაც დარჩა; მეორე ხუთ მანეთსაც თუ მომცემ, იმათაც გამოვიყვან და მოგარჩენო". პატრონი ეჭვში შევიდა და დანაპირევი აღარ მისცა. ეს უნდოდა ექიმბაშსაც, რომელიც თავისს გზას არხეინად გაუდგა.

ექიმბაშთა შორის განსაკუთრებითის ყურადღების ღირსია სოფ. ქ—ში მცხოვრებელი ჩ. ა—შვილი, რომლის პარპაშსა და ცბიერებას დასასრული არ ეძლევა. ეს გაუნათლონი ყოველ-გვარ ავადმყოფობით შეპყრობილთ დიდის ამბით და თავ-გამოდებით ხელს ჰკიდებს, მათს პატრონთ ფულს ბლომად სცინცლავს და ავადმყოფის მორჩენა-კი ღმერთმა იცის. ს. ზებნისში ერთი მოხუცი კაცი ავად გახდა. ამ გაუნათლონმა თავს იდო მისი განკურნება და საქმით 25 მანეთი (ავადმყოფის პატრონის სიტყვით, 50 მან.) გამოართვა. „რას ატყუებ, მოარჩენ ავადმყოფს-მეთქი", ვკითხე გზაში შეხვედრის დროს. „რას ბრძანებ, ყმაწვილო, მომიგო მან, მისი მორჩენა შეუძლებელია, წამლად „კონიაკს" ვასმევო!" მაშ რად დასდე ხელი, თუ ვერ მოარჩენ-მეთქი?! „მაშ რა ვქნა, რითი ვიცხოვრო", რიხიანის კილოთი მომახალა პასუხი. ცოტაოდენმა ხანმა და ავადმყოფმა განუტევა სული. მიცვალებულის ოჯახში თუმცა საქმით აღარავინ არ იყო, მაგრამ ეს გაუნათლონი მაინც ხშირად დაიარებოდა იქ, რადგან ერთი ლამაზი გასათხოვარი ქალი დაიგულა და, სარწმუნოების სხვა-და-სხვაობის მიუხედავად, მისი ცოლად შერთვა განიზრახა. თურმე ყოველ გვარ საშუალებას ხმარობდა, რომ ქალისა და მისის დედის გული როგორმე მოეხიბლა, მოეგო. ბოლოს გამოუცხადა თავისი განზრახვა ქალის დედას, რომლისაგანაც ცივი უარი მიიღო და სახლიდგანაც დათხოვნილ იქმნა. ექიმ-მკითხავმა შუაკაცებს მიჰმართა, მაგრამ ვერცარას ამითი გახდა და ბოლოს მოტაცებაც დაუპირა. ამ განზრახვის განსახორციელებლად ს. ზ—ში არა ერთხელ და ორჯელ ჰყავდა მთელი ბრბო თავისის მომხრეებისა და თუ გულის წადილს ვერ ეწია, მის მიმართ მთელის სოფლის მუქარას უნდა ვუმადლოდეთ. სოფელს და ქალის ოჯახს რომ მოსვენება მისცემოდათ, დედამ იჩივლა ადგილობრივ მამასახლისთან, რომელმაც წარსულის წლის 2 მარტს განაჩენი დაადგინა და ხალხს ხელი მოაწერინა, რომ იგი სახლში არავის შეეშვა არც საქმით და არც სხვაფრივ და თითონ დაჭერილი მკითხავი რუისში წაიყვანა წარსადგენად სადაც ჯერ იყო, მაგრამ ნახევარ საათის შემდეგ რაღაცა მანქანებით მკითხავმა თავისუფლობა შეიპოვა. ხსენებული ქალი ს. ცხინვალში გათხოვდა, პირში ჩალა-გამოვლებულმა მკითხავმა-კი ექიმობა ისევ თავისუფლად განაგრძო ს. ზებნისში. ერთს ავადმყოფის პატრონს გაურიგდა ავადმყოფის განკურნებას 15 მანეთად; ხუთი მანეთი წინდაწინ დასტყუა; ავადმყოფს წამლება ბლომად ასვა და გაისტუმრა იქ, სადაც მიმავალი ბევრი გვინახავს, მომავალი კი არც ერთი. აქაურმა მღვდელმა ი. ედილაშვილმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია. ამ წლის იანვარში მოუყარა სოფელს თავი და განაჩენზედ ხელი მოაწერინა, რომ იგი, მკითხავი, სახლშიც აღარავის შეეშვა.. ამ განაჩენმა, ცოტა არ იყოს, ძალა იქონია და მას შემდეგ ამ კაჟ-ბატონისათვის თავიც აღარ მოუკრავს სოფელში. მიმდინარე წლის მარტში მღ. ი. ედილაშვილი თავისისავე თხოვნის თანხმად უკეთესს მრევლში იქმნა გადაყვანილი და ექიმბაშმაც თავისუფლად ამოისუნთქა, ამ ზაფხულს ცხინვალში გათხოვილი ქალი, რომლის ცოლად ნებით თუ ძალით შერთვას ოცნებობდა ჩვენი ცრუ მკითხავი, ხუთის თუ ექვსის თვის შემდეგ სამშობლოში ავადმყოფი დაბრუნდა. ექიმ-მკითხავმა, რა გაიგო ეს ამბავი, ხალხში ხმა გაავრცელა: „ჩემგნით არის ავად და თუ არ მე, ვერავინ მოარჩენსო". ქალის დედამ იფიქრა: ჩემი ქალი უთუოდ მისგან არის მოჯადოებული, იქნება იმანვე მოარჩინოსო, და კიდეც მოიწვია იგი, რომელმაც 3 მან. ფეხის ქირა გამოართვა. რაღაცა ოინბაზობის შემდეგ (შავი ქათამი მოჰკლა, თუ დაარჩო და მიწაში დამარხა) ავადმყოფი ნერგის ფოთოლში ჩააწვინა, სასმელი წამლები მიაღებინა, მორჩენის იმედიც აძლია პატრონს, საქმისაც ბლომად (50—100 მანეთამდის) მოელოდა, მაგრამ ავადმყოფმა მაინც სამარეში მოსვენება არჩია. ასე თავისუფლად დანავარდობს ეს გაუნათლონი სოფლებში!.. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მის ასალაგმავად...

ორიოდე სიტყვა მკითხავთა შესახებ. მკითხავთა შორის მთელს მაზრაში განთქმულნი არიან ს. ს. ხვედურეთისა და ახრისისა. უკანასკნელს მაინც, როგორც მასთან სამკითხაოდ მყოფნი ამბობენ, დიდ ძალი ხალხი მისდის თურმე. ხოლო პირველიც და მეორეც თვითოეულისაგან სამკითხაოს აბაზს იღებენ. განთქმულმა ახრისელმა მკითხავმა ერთს კაცს უთხრა: „ამ ერთის წლის განმავლობაში ცოლი მოგიკვდებაო". აგერ მესამე წელიწადი მიდის მას აქეთ, ამ კაცს ცოლი ისევ ჯანსაღად ჰყავს. ერთს ქორფა ბავშვს თავისმა მამამ სიმთვრალის დროს გახელილს თვალში კომბოსტოს მჟავე წნილის ფოთოლი მოარტყა და თვალი დაუშავა. მამამ მკითხავების რჩევით მიზეზიანი ხატები მოატარა, ბოლოს მიმართა ახრისელს მკითხავს, რომელმაც ატოცის წმ. გიორგის მიზეზი გამოჰგვარა, ცხვარი აყიდვინა და სალოცავად გაამგზავრა, მაგრამ ბავშვს თვალი მაინც არ განეკურნა.

მის მაგიერ, რომ ავადმყოფს მკურნალი სასწრაფოდ მიაშველონ (საიდგან?), მკითხავებთან გარბიან, მობრუნდებიან და სახლში მიცვალებული დახვდებათ. აგვისტოს პირველ რიცხვებში ერთს კაცს ღამე სიმინდის რწყვის დროს ბულულზედ უსახურავოდ დასძინებოდა და გაციებულიყო, რასაც შედეგად ფილტვების ანთება მოჰყვა. პატრონი მკითხავთან გაქცეულიყო და ვიდრე დაბრუნდებოდა, კეშაპივით კაცს სული დალია.

მკითხავები, იმას გარდა, რომ ხალხში კაცობრიობის მავნებელს ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრას ხელს უშლიან, გლეხ-კაცობის უმისოდაც გამრავალკეცებულს ხარჯს უფრო ამრავალკეცებენ, რის გამოც უმრავლესობა ნივთიერად უკიდურეს მდგომარეობაში სცვივა. ამას ზედ ემატება ის გარემოებაც, რომ ეს ოთხი-ხუთი წელიწადია საზოგადოებას რიგიანი მოსავალი არ უნახავს, სარჩო წლამდის არ გასდევს, რის გამოც ნივთიერად დავალებული გლეხი ასატანს ვალსაც ვეღარ ჰშოულობს, რომ სხვა-და-სხვა ხარჯი დაურღვევლად გაისტუმროს; ამიტომ „ნედოიმკის" ზრდა ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცა. გაზეთებმა ამბავი მოიტანეს, რომ ს. ქარელში ქსენონი უნდა დაარსდესო. ფრიად სასურველია, რომ ჩვენს უექიმობით გაწირებულს საზოგადოებასაც ეღირსოს ქსენონი, ხოლო მისი ნივთიერად უზრუნველყოფა თვით მთავრობამ უნდა იკისროს.

ა.—ლი

## რუსეთი

— როგორც „С. От."-ა იუწყება, ამ ახლო მომავალში მთავრობა შეუდგება აწ არსებულ იმ წესების განხილვასა და გადათვალიერებას, რომელიც ქალაქებში კერძო კაცების მიერ აფთიაქების დაარსების უფლებას შეეხება. აზრადა აქვთ გააადვილონ აფთიაქების დაარსების საქმე.

— იმავე გაზეთის სიტყვით, უწმ. სინოდი ამ ცოტა ხანში შეუდგება იმის განხილვას, თუ ვის უნდა მიეცეს ხოლმე ნება სასულიერო წიგნების გამოცემისა და ვის არა. აზრადა აქვთ დაადგინონ, რომ ყოველის სასულიერო წიგნის გამოცემის დროს კერძო გამომცემელმა ამის ნება აიღოს ხოლმე ადგილობრივს საეპარქიო მთავრობისაგან.

— პეტერბურგის კაპიტალისტებს განუზრახავთ ახალის საზოგადოების დაარსება. საზოგადოებას აზრად ექსპლოატაცია ექმნება ახალ ტეხნიკურ გამოგონებათა. საზოგადოებასთან იქმნება განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს და დააფასოს ის, თუ რამდენად გამოსაყენებელია ახლად გამოგონილი მანქანა ან სხვა რამ. წესდების პროექტი დამაარსებელთ უკვე შეუმუშავებიათ და წარუდგენიათ მთავრობისათვის დასამტკიცებლად.

— ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს გააწესრიგოს პურის ვაჭრობის საქმე რუსეთის ბაზრებში. სამინისტროს უკვე გადაუწყვეტია გამოსცეს განსაკუთრებული წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ ხოლმე პურის ვაჭრებმა.

— როგორც „С. От." იუწყება, მომავალ სამოსწავლო წელს იურიევის უნივერსიტეტში სტუდენტად შევა ახალგაზდა, 28 წლის მღვდელი ა. გრაბილინი, ამ გრაბილინს სემინარიის გათავებისათანავე სდომებია უნივერსიტეტში შესვლა, მაგრამ სიღარიბის გამო თავისი განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანია, ცოლი შეურთავს და მღვდლად კურთხებულა. ცოტა ხანს შემდეგ ახალ გაზრდა მღვდელს ცოლი მოჰკვდომია და წინანდელი სურვილი უნივერსიტეტში შესვლისა ხელ-ახლა გაჰღვიძებია. ამის გამო საერო განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს და უთხოვნია, ნება დამრთეთ რომელსამე უნივერსიტეტში შესვლისაო. მინისტრს ნება დაურთავს და მამა გრაბილინი იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტად ჩაურიცხავს. გრაბილინი სამკურნალო მეცნიერების შესწავლას აპირობს. პატივცემულს მღვდელს აზრადა აქვს თურმე სწავლის გათავების შემდეგ ისევ სოფელს დაუბრუნდეს და მღვდლობასთან ერთად მკურნალობასაც შეუდგეს.

— რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების ხარკოვის განყოფილებას აზრადა აქვს ქალაქ ხარკოვში დააარსოს ბეჭდვითი საქმის სკოლა. ამ სკოლაში გამოცდილი და დახელოვნებული ასოთ ამწყობნი უნდა მოამზადონ. სკოლას შეინახავს საზოგადოება, რომელსაც ადგილობრივი სტამბის პატრონნი და ქალაქის თვით მმართველობაც დაჰპირდა დახმარებას.

— ახლად დაარსებულ ვარშავის პოლიტეხნიკუმში გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 20 ამა აგვისტოს.

— როგორც „Русск. Вѣд." იუწყება, ამ დღეებში მოსკოვში უნდა მოვიდეს ცნობილი ამერიკელი მილიონერი გოვარდ ჰულდი.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთების სიტყვით, გამომძიებელს ფაბრს უტყუარი საბუთები ჰქონია ხელთ იმისა, რომ აგერ ერთს წელიწადზედ მეტია, რაც რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულობა ყოფილა. გამორკვეულია, მაგალითად, რომ 1898 წლის ოქტომბერში, ბრისონის სამინისტროს დაცემის წინად, სხვა და-სხვა პოლიტიკურ წრეს მოლაპარაკება ჰქონია ერთმანეთთან ამის შესახებ. პოლიციამ ხელთ იგდო მიწერ-მოწერა გრაფ ორლეანელისა და მის პარიჟელ აგენტებს შორის. ამ მიწერ-მოწერიდგან სჩანს, რომ ხსენებულ ტახტის მაძიებლის ოფიციალურ წარმომადგენელთა და ნაციონალისტთა დასის ზოგიერთ წევრთა შორის სრული თანხმობა ყოფილა. ამას გარდა, ორლეანისტები დიდ ფულს ხარჯავდნენ თურმე არა მარტო პროპაგანდაზე, არამედ გაფიცულ მუშების სასარგებლოდ პარიჟსა და დეპარტამენტებში, იმ აზრით, რომ არეულობა გამოეწვიათ.

—

**იტალია.** ამ დღეებში პარლამენტის დეპუტატების არჩევანი მოხდა მილანსა, რავენსა და ფორნეში, რამაც საპარლამენტო ვაკაციების შემდეგ მიწყნარებული საზოგადოება ისევ გამოაფხიზლა და გაზეთებში დიდი პოლემიკა ასტეხა. ოპოზიციამ კანდიდატებად გამოიყვანა: მილანში — ტურატი, რავენში — დე-ანდრენსი და ფორნეში — კიეზი. ესენი სამივენი სოციალისტთა დასს ეკუთვნიან, და პირველ არჩევნების დროსვე იქმნენ არჩეულ, მაგრამ პალატამ არ დაამტკიცა დეპუტატებად, რადგან ისინი პოლიტიკურს უფლებას მოკლებულნი იყვნენ შარშანდელ არეულობის გამო მილანსა და სხვა ქალაქებში, თუმცა მათ პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღიათ ამ არეულობაში. რაღა თქმა უნდა, იმათი ხელ-ახლა კანდიდატად დასახელება და არჩევა დეპუტატებად უკმაყოფილების გამოცხადება იქნებოდა ამომრჩეველთა მხრით მთავრობისადმი. სამივე კანდიდატი დიდძალი ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა: ტურატი — 4,334 ხმით 573-ის წინააღმდეგ, კიეზი — 1,951 ხმით 1,416-ის წინააღმდეგ და დე-ანდრენსი — 1,064 ხმით 20-ის წინააღმდეგ.

—

**სერბია.** 3 აგვისტოს ალექსანდრე მეფეს 23 წელიწადი შეუსრულდა დაბადების შემდეგ და ეს დღე დიდის ამბით იდღესასწაულა ნიშში. პარაკლისის გარდახდის შემდეგ, მეფემ ჯარი დაათვალიერა, რომელიც 6 ათასი კაცისაგან შესდგებოდა. მთავარ მინისტრს ვლადან გეორგიევიჩს მეფემ წერილი გაუგზავნა, რომელშიაც ჩამოთვლილია ყველა კეთილი საქმე, რაც კი გაკეთებულა სერბიაში 1897 წლის ოქტომბრიდგან მოყოლებული დღემდის. მეფე ბრძანებს, რომ ამ საქმეებმა, რომლებშიაც გამოიხატება სერბიის წარმატება, დააღონა ჩვენი მტრებიო და ამიტომ განიზრახეს მილანის მოკვლაო.

—

**ბოლგარია.** მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად ოპოზიციის ერთს საუკეთესო იარაღს შეადგენს მაკედონიის საქმე. ეს საგანი დიდად აინტერესებს ბოლგარელებს; ამით სარგებლობს ოპოზიცია და ხმას ავრცელებს, რომ მაკედონია — ბოლგარიის ქვეყანა არისო, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იქ ყველანი ავიწროვებენ ბოლგარელებს, ბოლგარიის მთავრობას დაუდევრობის გამო, რომელიც ერიდება ოსმალეთს არ აწყენინოს და დამოუკიდებლად მოქმედებას ვერა ჰბედავს. ასეთს უმოქმედობას აბრალებდნენ წინათ სტოილოვს მისი მოწინააღმდეგენი, ესლა, როცა დეკორაცია შეიცვალა, სტოილოვი და მისი მომხრენი გრეკოვს და რადოსლავოვს აბრალებენ ამას. რაღა თქმა უნდა, ბოლგარიის მინისტრებს არ მალუძთ გარდასწყვიტონ მაკედონიის საქმე, და მაშასადამე, ყოველგვარი საყვედური ოპოზიციის მხრით ამ საგნის შესახებ საფუძველს მოკლებულია. მაგრამ ბოლგარიის მთავრობა იძულებულია ყოველთვის პასუხი გასცეს ოპოზიციას მაკედონიის შესახებ ატეხილს მითქმა-მოთქმაში, რათა საზოგადოება დაამშვიდოს როგორმე.

ამ რამდენიმე ხნის წინად პორტას უცნობებია თავისი ელჩებისთვის უცხო სახელმწიფოებში, რომ ბოლგარიის მინისტრ-პრეზიდენტმა გრეკოვმა გვაუწყაო, რომ ბოლგარიის მთავრობამ ყოველივე ღონისძიება იხმარა მშვიდობიანობა დაიცვას ოსმალეთ-ბოლგარიის საზღვარზე და აგრეთვე ბოლგარიიდგან მაკედონიაში არავინ გაუშვას ისეთი, რომელიც იქ წეს-რიგს დაარღვევსო. როცა ეს ამბავი გავრცელდა სოფიაში, ოპოზიციის გაზეთებმა აღარ დაიშურეს სალანძღავი სიტყვები მთავრობის წინააღმდეგ; ქვეყნის ღალატიც კი დასწამეს ამ უკანასკნელს. თავის მხრით, მთავრობის მომხრე გაზეთები ამტკიცებენ, რომ ოსმალეთის მთავრობის ცირკულიარი ბოლგარიას არა თუ ამცირებს, არამედ ამაღლებს ქვეყნის თვალშიო.

---

## დამაკვირდი

სულ მოკლე ზღვევასა და დაჭირვებასა არა მცირედსა მოატყუებს თავსა თვისსა მლოცარებათა თვისთა.

ეფრემ მცირე

* * *

უოგვლი საქმე ჩვენი სასწორით იყოს: საზრდელი, სასმელი, ძილი.

თეოდორე სტუდიელი

* * *

სიბრძნე და სწავლებაჲ სხვაჲ მზე არს კეთილთა კაცთათვის, ფრიად უმეტნიერეს ამის ხილულისა მზისაგან.

საეკლ. მუზ. № 153

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად საფრანგეთის ერთს პატარა ქალაქში სასამართლომ განიხილა საქმე 106 წლის მოხუცის — მონროე გედნისა. ამ მოხუცს უჩიოდა თავისივე შვილი — 70 წლის მოხუცივე, რომლისთვის მამას ჯოხით უცემნია იმის გამო, რომ შვილი ერთს საღამოს მთვრალი დაბრუნებულა შინ და ცოლისთვის ტყუილ-უბრალოდ ლანძღვა დაუწყვია. მოსამართლეს მამა გაუმართლებია, ხოლო შვილი გაუმტყუნებია და ჯარიმის გადახდა მიუსაჯნია. განაჩენში მოსამართლეს, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებიც ჩაუწერნია: „თუმცა შვილი 70 წლის კაცია, მაგრამ ვინაიდგან მამასთან სცხოვრობს, ამ უკანასკნელს უფლება აქვს დაარიგოს და თუ ურჩი შვილი არ გაუგონებს, სცემოს კიდეცაო“.

* * *

ამ რამდენისამე ხნის წინად ამერიკის ქალაქ ჩიკაგოში დაარსდა ქალთა ახალი საზოგადოება. საზოგადოებას აზრადა აქვს ხალხში გაავრცელოს ცნობები თავისს მოვლა-შენახვის და ჯანმრთელობის შესახებ. ამას წინად საზოგადოების წევრებმა ერთხმად დაადგინეს ხელი აიღონ კარსეტებისა და ყოველგვარ ზორტების ხმარებისაგან. ასეთი გარდაწყვეტილება გამოიწვია საზოგადოების წევრის ქნ არმეტრონგის მოხსენებამ. თავისს მოხსენებაში არმეტრონგი ამტკიცებდა, რომ აწინდელი ტანთ-საცმელი დიდად მავნებელია ქალის ჯან-მრთელობისა და ჯანსაღობისათვისაო. ჩიკაგოს ქალებს გადაუწყვეტიათ დაუბრუნდნენ ძველებურ ბერძნულ ტანთ საცმელს, რომელიც არ აბრკოლებს თავისუფალ მოძრაობას.

* * *

ერთს ამერიკელს ტეხნიკოსს გამოუგონია ახალი ეტლის თვალი, რომელსაც მოძრაობის დროს არავითარი ხმაურობა არა აქვს თურმე. ასეთი თვლები რომ ეტლს გაუკეთოთ და ქუჩაში გაატაროთ, ისეთ ხმაურობასაც-კი ვერ გაიგონებთ თურმე, როგორიც ესრედ წოდებულ რეზინის „შინებიან“ ეტლებსა აქვთ. ეს თვალი უკვე გამოუცდიათ ამერიკაში და ყველას მოსწონებია.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 აგვისტო.

**ჰამბურგი.** „Hambourgische Korrespondent“ სწერს: „გერმანიისაგან თხოულობენ, გამოაცხადოს მთავრობამ საბუთის ქაღალდები, რომელთაც დრეიფუსის უდანაშაულობის დამტკიცება შეეძლოსო; ამის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი საბუთის ქაღალდები არ არსებობს, რადგან გერმანიას არაოდეს და არსად არავითარი საქმე არა ჰქონია დრეიფუსთანო“.

**მადრიდი.** ოპორტოდგან მოსულ ცნობებიდგან სჩანს, რომ იქ გუშინ სამი კაცი გამხდარა ავათ შავი ჭირით, რომელთაგან ორი მაშინვე გარდაიცვალა. ბრბომ ერთობ ძლიერი დემონსტრაცია მოახდინა ქალაქის ლაბორატორიის წინ დოქტორ ჟორჟის წინააღმდეგ.

**პარიჟი.** გერენის მზარეულს, რომელიც ფილტვების ანთებით ავათ არის, ნება მისცა მთავრობამ შაბროლის ქუჩაზედ სახლი დაეტოვებინა და პოლიციის საავადმყოფოში გადასულიყო. იმან განუცხადა პოლიციის ინსპექტორს, რომ გერენს დარჩა რამდენიმე კოლოფი კონსერვი და 50 კილო კარტოფილიო. დეპუტატებმა მილვუამ და ჟერვენმა გერენთან შესვლის ნებართვაც ითხოვეს, რომ დაიყოლიონ დანებდეს მთავრობას. ვალდეკ-რუსომ არ შეიწყნარა მათი თხოვნა. პარიჟი დამშვიდებულია.

**რენი.** მაიორმა ქანდრომ აჩვენა, რომ ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომელსაც საყვარლად ვენგრიელი ქალი — დელი ჰყვანდაო, რომ ამ ქალს ბევრთან ჰქონდა კავშირი და მათ შორის ავიცერი დრეიფუსიც იყოვო. მოწმემ დიდის ქებით მოიხსენია დრეიფუსი.

მაიორმა გესომ და ბულანჟემ, დრეიფუსის ამხანაგად ნამყოფებმა მეოთხე ბიუროში, აჩვენეს, რომ დრეიფუსმა ძლიერ კარგად იცოდა ყველა საგანი, რომელთაც მთავარი შტაბი იკვლევდაო. დრეიფუსმა შენიშნა, რომ არაოდეს არ ვცდილვარ გამეგო რაიმე იმაზედ მეტი, რაც მე უნდა მცოდნოდაო.

**რენი.** გუშინ ლაბორის სახლობაზედ მიიღეს რამდენიმე საეჭვო კოლოფი; ისინი გამოიკვლევად გარდასცეს, და დღეს აღმოჩნდა, რომ იმათში ჭრილობის მოსარჩენი მალამო იყო.

**რენნი.** მაიორმა დიუშატლმა სთქვა, რომ დრეიფუსი არშიყობაში ატარებდა დროს და ქალებს თამაშობდაო. დრეიფუსმა ამ ჩვენების გაწორა ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობები შეასწორა.

პარიჟის მემამულემ დიუბრეილმა აჩვენა, რომ დრეიფუსს გავეცანი ვილაც ბოდსონის სახლში, სადაც აგრეთვე იმყოფებოდა გერმანიის სამხედრო აგენტიცო. მოწმეს ყურადღება მიუქცევია ამხანაგურ დამოკიდებულობისათვის დრეიფუსსა და იმ აგენტის შორის. ბოდსონს შემდეგ უამბნია მოწმისათვის, რომ დრეიფუსი იმ აგენტის ცოლის საყვარელი იყოვო; იმან დასძინა, რომ ხელთ ისეთი საბუთები აქვს დრეიფუსის წინააღმდეგ, რომ შეეძლო ჯარიდგან განედევნებინაო. დრეიფუსმა განაცხადა, რომ ბოდსონისას არაოდეს არ მისადილნია უცხო ქვეყნელ აგენტთან ერთადო; იგი დაბეჯითებით თხოულობდა რომ დიუბრეილმა დაასახელოს ის აგენტიო, „საჭიროა ვიცოდეთო, — დასძინა მან, — ვინ სტყუის და ვინ მართალს ლაპარაკობსო“. ვექილებმა ითხოვეს, რომ ცნობები იქმნას შეკრებილი დიუბრეილის ზნეობის შესახებო.

კარიერმა, უპასუხა-რა ლაბორის, სთქვა, რომ მე არ გადმომცეს გამოძიება, რომელიც ვერნემ მოახდინა დიუ-პატის შესახებო. იმედი მაქვს, დიუ-პატი რამდენიმე დღის განმავლობაში თითონ მოვა სასამართლოშიო. ლაბორიმ ჰკითხა გონზს: პასუხს აგებთ თქვენ დიუ-პატის მოქმედებაში, რომელმაც სამსახურის საბუთის ქაღალდები მაიორს ესტერგაზს აცნობაო. — „არაოდესო“. — შესძახა გონზმა.

ინჟინერმა ლანკიტიმ განაცხადა, რომ დრეიფუსს შევხვდი ბრიუსელში 1894 წელს, მაგრამ გარკვევით არ შემიძლიან დავასახელო, სახელდობრ როდის იყო ესო. დრეიფუსმა მოაგონა, რომ შეგხვდი თქვენა და გელაპარაკეთ ბრიუსელში რესტორანში 1890 წელს (?), როცა პირველად და უკანასკნელად ვიყავი იქ, გამოფენის გამოვო. მოწმე დაეთანხმა, რომ ეს ასე იყოვო. სხდომა შესწყვიტეს 11 სათ. 40 წ. გაგრძელება ხვალ იქნება. დრეიფუსმა ხელი ჩამოართვა ლაბორის.

12 აგვისტო

**პეტერბურგი.** „წითელის ჯვარის საზოგადოება“ აცხადებს, რომ რაკი რუსეთში წელს კმასაყოფილი მოსავალია ეხლა საჭირო აღარ არის შეწირულებანი მოიკრიბოს 1898 წლის მოუსავლობით დაზარალებულთათვისაო.

**ვეისენფელსი.** გუსართა მე-12 რაზმი, რომლის შეფადაც დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე იმყოფება, დეპუტაციას ჰგზავნის პეტერბურგს, რათა მისს უმაღლესობას მიულოცონ კორწინებიდგან ოც-და-ხუთის წლის შესრულება.

**პარიჟი.** პოლიციამ ახალი ღონისძიებანი იღონა, რათა შაბროლის ქუჩაზედ სამხედრო ძალა გაძლიერებულ იქმნას. მახლობელ შენობებში ჟანდარმები დადგნენ. მკურნალი, რომელიც თავისუფლად დადიოდა ალყა-შემორტყმულებთან, აჰიერიდგან ყოველ დღე ნება რრვა უნდა აიღოს იქ შესვლისა და სურსათი არა უნდა შეიტანოს-რა თან. ერთი დამწყვდეულთაგანმა მოითხოვა დღეს, რომ სამკურნალო შემწეობა აღმომიჩინეთ, რადგან ფილტვების ანთებითა ვარ ავადაო. აქ იმ აზრისანი არიან, ყველანი მოიავადმყოფებენ თავს, რომ თავი დააღწიონ დამწყვდევას.

**რენნი.** გუშინ გონზმა ესეც განაცხადა: „მინისტრს არ უნდოდა, რომ აფიცრებს ესტერგაზისთან ჰქონოდა დამოკიდებულება. როდესაც გაიგეს, რომ ესტერგაზის წინააღმდეგ იწყებენ მოქმედებასაო, ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ შევატყობინოთ ეს ამბავი ესტერგაზის, დავამშვიდოთ და ვურჩიოთ არა იმოქმედოს-რა. მინისტრი ამის წინააღმდეგი გახდა“. გონზმა უარ-ჰყო, ვითომ ესტერგაზისათვის დარიგება, რა უნდა ეთქვა გენერალ პელიესათვის. ესტერგაზის ისეთ ადამიანად სთვლიან, რომელიც სხვასაც-კი გაუტეხდა სახელსაო. თავისუფლად დატოვებულ იქმნა იგი მხოლოდ სოსსიეს ბრძანებით. როდესაც გამოძიება დაიწყო, მარტო დიუპატიმ გაუტეხა სახელი მთავარ-შტაბს თავისის წინ-დაუხედავის საქციელითაო.

**ბელგრადი.** მილანის მოკვლის განმზრახველთა საქმის განხილვა სასამართლოში $^{30}/_{18}$ აგვისტოს დაიწყება, სულ 48 ბრალდებულია. ბრალსა სდებენ თვით კნიაჟევიჩს და ყველა იმათ, რომელთაც სცოდნიათ, რომ შეთქმულება სახელმწიფოს ამბოხების მოსამზადებლადაო.

პეტერბურგის ბირჟა, 10 აგვისტო

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% მომგებიანი გირავნობის ფურცელი სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 206½ | — „ | — „ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 93½ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99 | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 99¼ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | 95(?) | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | 100 | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | 96 | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 293½ | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 254 |

Дозволено цензурою, Тифлисъ 12 го Августа 1899 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.